საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MIA 6 18 0001/336

20/07/2018

შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ოქმებისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული რედაქციით:
ა) მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია (დანართი №1);
ბ) შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ძალადობის მსხვერპლთან სატელეფონო გასაუბრების ოქმი (დანართი №2);
გ) შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ძალადობის მსხვერპლთან ვიზიტის ოქმი (დანართი №3);
დ) მოძალადესთან სატელეფონო გასაუბრების ოქმი (დანართი №4);
ე) მოძალადესთან შეხვედრისა და გასაუბრების ოქმი (დანართი №5).
2. ბრძანება გაეცნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.
4. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 სექტემბრიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი
გახარია გიორგი

დანართი №1

მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია

მუხლი 1.
მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ინსტრუქცია განსაზღვრავს შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის წესსა და მონიტორინგის განმახორციელებელ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) უფლებამოსილ მოსამსახურეებს.

მუხლი 2.
შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შემდეგი მოსამსახურეები:
ა) უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი;
ბ) უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი;
გ) მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი;
დ) მართლწესრიგის ოფიცერი.

მუხლი 3.
1. შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგი ხორციელდება სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს ამ ბრძანების მე-2 მუხლით განსაზღვრული მოსამსახურის მიერ მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პირობების ვალდებულებების მონიტორინგის მიზნით, შემაკავებელი ორდერის შედგენის უფლების მქონე სამინისტროს მოსამსახურემ შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ასლი დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 4.
1. უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციის (სატელეფონო ან/და პირადი ვიზიტის საშუალებით) გზით.

2. მსხვერპლთან და მოძალადესთან განსახორციელებელი კომუნიკაციის სიხშირე დამოკიდებულია „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის №81 ბრძანებით

დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმის კითხვარის საშუალებით განსაზღვრული რისკების სიმძიმის შეფასების ხარისხზე.

3. განმეორებითი ძალადობის მაღალი რისკის შემთხვევაში მსხვერპლთან კომუნიკაცია სავალდებულოა მინიმუმ სამ დღეში ერთხელ, განმეორებითი ძალადობის საშუალო რისკის შემთხვევაში მსხვერპლთან კომუნიკაცია სავალდებულოა მინიმუმ ხუთ დღეში ერთხელ, ხოლო განმეორებითი ძალადობის დაბალი რისკის შემთხვევაში მსხვერპლთან კომუნიკაცია სავალდებულოა მინიმუმ შვიდ დღეში ერთხელ.

4. შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი მოსამსახურე:
ა) განმეორებითი ძალადობის მაღალი რისკის შემთხვევაში, ორდერის მოქმედების ვადის განმავლობაში, მსხვერპლთან ახორციელებს ხუთ სატელეფონო გასაუბრებას, ორ გეგმიურ და ორ არაგეგმიურ ვიზიტს მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილზე. ასევე, კავშირი აქვს მოძალადესთან, მინიმუმ ორჯერ პირადად ხვდება მას და განუმარტავს ორდერით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ პასუხისმგებლობას;
ბ) განმეორებითი ძალადობის საშუალო რისკის შემთხვევაში, ორდერის მოქმედების ვადის განმავლობაში, მსხვერპლთან ახორციელებს ოთხ სატელეფონო გასაუბრებას, ერთ გეგმიურ და ერთ არაგეგმიურ ვიზიტს მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილზე. ასევე, კავშირი აქვს მოძალადესთან, მინიმუმ ერთხელ პირადად ხვდება მას და განუმარტავს ორდერით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ პასუხისმგებლობას;
გ) განმეორებითი ძალადობის დაბალი რისკის შემთხვევაში, ორდერის მოქმედების ვადის განმავლობაში, მსხვერპლთან ახორციელებს სამ სატელეფონო გასაუბრებას და მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილზე ერთ გეგმიურ ვიზიტს. ასევე, კავშირი აქვს მოძალადესთან, მინიმუმ ერთხელ ახორციელებს მასთან სატელეფონო ან პირად გასაუბრებას და განუმარტავს ორდერით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ პასუხისმგებლობას.

5. შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი მოსამსახურე, მოძალადის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში, ორდერის მოქმედების ვადის განმავლობაში, მსხვერპლთან ახორციელებს მხოლოდ ორ სატელეფონო გასაუბრებას რისკის დონის მიუხედავად.

6. თუ მსხვერპლი გადაყვანილია თავშესაფარში, მისი თავშესაფარში ყოფნის დროს, შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი მოსამსახურე მსხვერპლთან ახორციელებს მხოლოდ ორ სატელეფონო გასაუბრებას მიუხედავად რისკის დონისა. ასევე, კავშირი აქვს მოძალადესთან, მინიმუმ ერთხელ პირადად ხვდება მას და განუმარტავს ორდერით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელ პასუხისმგებლობას.

მუხლი 5.
შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის განმახორციელებელი მოსამსახურე მონიტორინგის განხორციელებისას ადგენს ამ ბრძანების №2–№5 დანართებით გათვალისწინებულ ოქმებს.

დანართი №2

შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ძალადობის მსხვერპლთან სატელეფონო გასაუბრების ოქმი

ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი _____
ოქმის შემდგენელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა _____
_____

შემაკავებელი ორდერის №_____

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №_____ ბრძანების საფუძველზე, ტელეფონის ნომრიდან _____, _____ საათსა და _____ წუთზე დავუკავშირდი მსხვერპლს შემდეგი ტელეფონის ნომერზე _____ .

მსხვერპლის მონაცემები:

სახელი: _____
გვარი: _____
პირადი ნომერი:_____

მსხვერპლმა გასაუბრებისას განმარტა, რომ:

_____ მხრიდან ☐ ადგილი ჰქონდა შემაკავებელი ორდერის დარღვევას
☐ ადგილი არ ჰქონია შემაკავებელი ორდერის დარღვევას

(მოძალადის სახელი, გვარი)

_____ მხრიდან ☐ ადგილი ჰქონდა არასასურველ კონტაქტს
☐ ადგილი არ ჰქონია არასასურველ კონტაქტს

(მოძალადის სახელი, გვარი)

(თუ ადგილი ჰქონდა შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების დარღვევას ან/და არასასურველი კონტაქტს, მიუთითეთ რაში გამოიხატა იგი)

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

_____ კიდევ ერთხელ განემარტა, რომ თუ მოძალადის მხრიდან ადგილი
(მსხვერპლის სახელი, გვარი)

ექნება შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს პოლიციას.

ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა: _____

დანართი №3

შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით ძალადობის მსხვერპლთან ვიზიტის ოქმი

ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი _____
ოქმის შემდგენელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა _____
_____

შემაკავებელი ორდერის №_____

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №_____ ბრძანების საფუძველზე, განვახორციელე _____ ვიზიტი ძალადობის მსხვერპლთან.
(გეგმიური, არაგეგმიური)

მსხვერპლის მონაცემები:

სახელი: _____
გვარი:_____
პირადი ნომერი:_____

მსხვერპლმა გასაუბრებისას განმარტა, რომ:

_____ მხრიდან ☐ ადგილი ჰქონდა შემაკავებელი ორდერის დარღვევას
☐ ადგილი არ ჰქონია შემაკავებელი ორდერის დარღვევას
(მოძალადის სახელი, გვარი)

_____ მხრიდან ☐ ადგილი ჰქონდა არასასურველ კონტაქტს
☐ ადგილი არ ჰქონია არასასურველ კონტაქტს
(მოძალადის სახელი, გვარი)

(თუ ადგილი ჰქონდა შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების დარღვევას ან/და არასასურველი კონტაქტს, მიუთითეთ რაში გამოიხატა იგი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____ კიდევ ერთხელ განემარტა, რომ თუ მოძალადის მხრიდან ადგილი
(მსხვერპლის სახელი, გვარი)
ექნება შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს პოლიციას.

ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა: _____

დანართი №4

მოძალადესთან სატელეფონო გასაუბრების ოქმი

ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი _____
ოქმის შემდგენელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა _____
_____

შემაკავებელი ორდერის №_____

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №_____ ბრძანების საფუძველზე, ტელეფონის ნომრიდან _____, _____ საათსა და _____ წუთზე დავუკავშირდი მოძალადეს შემდეგი ტელეფონის ნომერზე _____ .

მოძალადის მონაცემები:

სახელი: _____
გვარი: _____
პირადი ნომერი: _____

სატელეფონო გასაუბრებისას მოძალადეს განემარტა, რომ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადაა _____ -მდე. შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის წესით.

გასაუბრებისას _____ განმარტა, რომ _____

(მოძალადის სახელი, გვარი)

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა: _____

დანართი №5

მოძალადესთან შეხვედრისა და გასაუბრების ოქმი

ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი _____
ოქმის შემდგენელი პირის სახელი და გვარი, თანამდებობა _____
_____

შემაკავებელი ორდერის №_____

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №_____ ბრძანების საფუძველზე, _____ განვახორციელე _____ გასაუბრება.
(შეხვედრის ადგილი) (მოძალადის სახელი და გვარი)

მოძალადის მონაცემები:

სახელი: _____
გვარი: _____
პირადი ნომერი: _____
ტელეფონი:_____
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: _____

გასაუბრებისას _____ განმარტა, რომ _____
(მოძალადის სახელი, გვარი)
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

_____ განემარტა, რომ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის
(მოძალადის სახელი, გვარი)
მოქმედების ვადაა _____-მდე. შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული ან/და სისხლის სამართლის წესით.

მოძალადის ხელმოწერა: _____

ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა: _____